ჭავლური
თერმულად გადასაყვანი ფურცლები

JET-PRO®SS და JET OPAQUE® ბრენდები

ქსოვილებზე, მაუსის პადებზე, ჭიქის დასადებებზე, ფაზლებსა და ტყავის ნაწარმზე საბეჭდად



JET PRO®SS ღია ტექსტილისთვის

თერმულ ფურცელზე ბეჭდვა შესაძლებელია მაგიდის ჭავლური პრინტერების უმეტესობით და მისი გამოყენება ძალიან მარტივია. თეთრსა და ღია ფერის ტექსტილზე დაბეჭდვის შემდეგ ქსოვილი ინარჩუნებს თავის ბუნებრივ ტექსტურას და შედეგად ვიღებთ ნაბეჭდ სურათს მკვეთრი ფერებით, რომელიც გაუძლებს 10-20 გარეცხვას.

- სურათი უნდა დაიბეჭდოს სარკულად

INKJET

შემობრუნებული/სარკული





3G JET OPAQUE® მუქი ტექსტილისთვის

თერმულ ფურცელზე ბეჭდვა შესაძლებელია მაგიდის ჭავლური პრინტერების უმეტესობით და მისი გამოყენება მარტივია. იგი ფერად და მუქ ტესტილზე ფოტო-ბეჭდვის ხარისხს გვაძლევს, მკვეთრი ფერებითა და მაღალი გამძლეობით (10-20 გარეცხვა).

- სურათი უნდა დაიბეჭდოს პირდაპირ
- სურათი შეიძლება გამოიჭრას სასერი პლოტერით

INKJET

პირდაპირ

ჭავლური პრინტერისთვის	ბამბა (ბუნებრივი ქსოვილები)	პოლიესტერი	მყარ ზედაპირზე გადატანა	ფოტობეჭდვის ხარისხი	წინასწარ დაჭრესა ნაპეცების და ტენის მოსაშორებლად	აძრობის ტემპერატურა			ხელის/სახლის უთო	პერგამენტით დაფარვა	ხელახლა ჭრესით დაწოლა და გაწელვა	დამცავი ფირის მოშორება
						ცხელი	თბილი	ცივი				
JET-PRO SS (Soft Stretch)	♦	***	***	♦	♦	♦	♦	▲	♦	■	■	
3G JET OPAQUE	♦	***	***	♦	♦			♦	***	♦		♦

CONFIDENCE IN TEXTILES
Tested for harmful substances
according to Oeko-Tex® Standard 100
00000000 Institute

MADE IN USA

♦ კი ● ნებაყოფლობითი ▲თუ —> ■ მაშინ *** სპეციალური პარამეტრებით, დიზაინის გათვალისწინებით

JET PRO®SS - ის ინსტრუქცია

თერმო პრესისთვის

ბეჭდვის ინსტრუქცია:

1. დაბეჭდეთ სურათი სარკულად
2. თუ გსურთ მოაჭერით დაუბეჭდავი სივრცეები

თერმო პრესი დაყენებული უნდა იყოს **190°C** -ზე, საშუალოდან ძლიერ დაწოლაზე, 30 წამზე

გადაყვანამდე:

1. მოამზადეთ ქსოვილი - თერმოპრესის საშუალებით დარწმუნდით, რომ ქსოვილის ზედაპირი მშრალია და არ აქვს ნაკეცები.

გადაყვანის ინსტრუქცია:

1. დაადეთ ქსოვილს ფურცელი ნაბეჭდი მხრიდან (ფურცლის უკანა მხარეს უნდა ხედავდეთ).

2. მოათავსეთ თერმოპრესის ქვეშ და დააწექით 30 წამის განმავლობაში 190°C, საშუალოდან მაღალ წნევამდე (3-დან 5 ბარამდე).

3. დააცადეთ ფურცელს ოდნავ გაგრილება, ისე რომ ხელები არ დაიწვათ.

4. ააძრეთ ფურცელი სანამ ის ცხელია თანაბარი მოძრაობით (ფურცლის აძრობა შესაძლებელია ნებისმიერ ტემპერატურაზე, დამოკიდებულია იმაზე თუ როგორი შედეგის მიღება გსურთ - როგორი ფაქტურის ზედაპირის, იხ. ცხრილი პირველ გვერდზე)

5. ურბილესი შედეგისთვის სწრაფად გაწელეთ ქსოვილი ყველა მხარეს სანამ ის ცხელია. თუ გაციების შემდეგ ააძრობთ, სწრაფად კვლავ მოათავსეთ თერმო პრესის ქვეშ და დააწექით პერგამენტის ქაღალდით ან ტეფლონის ფურცლით

რეცხვის ინსტრუქცია:

გადმოაბრუნეთ ქსოვილი (ნაბეჭდი მხარე შიგნით რომ მოექცეს) და გარეცხეთ ცივ წყალში რბილი სარეცხი საშუალების გამოყენებით. არ გამოიყენოთ მათეთრებელი. საშრობ მანქანაში დაბალი სითბოს რეჟიმზე გააშრეთ. თუკი გადაწყვეტთ ნაბეჭდი ადგილის გაუთოვებას, დააფარეთ სურათს პერგამენტი (ან საცხობი ქაღალდი) და გაწელეთ სანამ ის ცხელია.

JET OPAQUE® - ის ინსტრუქცია

თერმო პრესისთვის

ბეჭდვის ინსტრუქცია:

1. დაბეჭდეთ სურათი ფურცლის თეთრ მხარეს, არა-სარკულად, ისე, რომ გამოსახულებას სწორად ხედავდეთ
2. თუ გსურთ, მოაჭერით დაუბეჭდავი სივრცეები.

თერმო პრესი დაყენებული უნდა იყოს **177°C** -ზე, საშუალოდან ძლიერ დაწოლაზე, 30 წამზე

გადაყვანამდე:

1. მოამზადეთ ქსოვილი, დარწმუნდით რომ ზედაპირი სუფთა, მშრალი და უნაოჭოა ტანსაცმლის საწმენდისა და თერმო პრესის დახმარებით.

გადაყვანის ინსტრუქცია:

1. ოდნავ მოხარეთ კუთხე ნაბეჭდისთვის ფურცლის უკანა დამცავი ფენის მოსაძრობად.
2. დაადეთ ქსოვილს ფურცელი ისე, რომ ნაბეჭდი მხარე ზემოდან ჩანდეს (სწორი გამოსახულება თქვენ გიყურებდეთ).
3. სრულად დაფარეთ სურათი ერთი ცალი პერგამენტის ქაღალდით/ტეფლონის ფურცლით.
4. დააწექით თერმო პრესით 30 წამის განმავლობაში 190 °C-ზე, საშუალოდან დიდამდე წნევით (3-დან 5 ბარამდე).
5. გაციების შემდეგ, ააძრეთ პერგამენტის/ტეფლონის ფურცელი თანაბარი მოძრაობით.

რეცხვის ინსტრუქცია:

გადმოაბრუნეთ ქსოვილი (ნაბეჭდი მხარე შიგნით რომ მოექცეს) და გარეცხეთ ცივ წყალში რბილი სარეცხი საშუალების გამოყენებით. არ გამოიყენოთ მათეთრებელი. საშრობ მანქანაში დაბალი სითბოს რეჟიმზე გააშრეთ. თუკი გადაწყვეტთ ნაბეჭდი ადგილის გაუთოვებას, დააფარეთ სურათს პერგამენტის (საცხობი) ქაღალდი.

მნიშვნელოვანი: პრინტერები და თერმო პრესები განსხვავდებიან სიზუსტით. ეს ფურცლები ტესტირებულია ბევრი სხვადასხვა პრინტერისა და თერმო პრესის გამოყენებით და მიღებულია შესანიშნავი შედეგები. მიუხედავად ამისა, რეკომენდაციას გიწევთ თავად დატესტოთ ფურცლები თქვენი აღჭურვილობის მეშვეობით საუკეთესო შედეგის მისაღებად.

ბეჭდვისა და ხელის უთოთი გადაყვანის ინსტრუქცია

	JET PRO®SS	3G JET OPAQUE®
ბეჭდვა:	1. დაბეჭდეთ სურათი თეთრ, უწარწერო მხარეს სარკულად 2. თუ გსურთ მოაჭერით დაუბეჭდავი ნაწილები	1. დაბეჭდეთ სურათი ფურცლის თეთრ, უწარწერო მხარეს სწორი მიმართულებით (პირდაპირ) 2. თუ გსურთ მოაჭერით დაუბეჭდავი სივრცეები 3. ააძრეთ დამცავი ფურცელი თერმო ფირს **შენიშვნა**: კუთხის მოხრა/ "თავის აწევინება" შესაძლოა დაგეხმაროთ დამცავი ფენის მოშორებაში.
გადაყვანამდე:	1. გააცხელეთ უთო ყველაზე მაღალ რეჟიმზე - არ გამოიყენოთ ორთქლი (დაცალეთ წყლისგან) 2. გადაყვანისთვის გამოიყენეთ გლუვი, სითბოგამძლე, მყარი ზედაპირი; არ გამოიყენოთ საუთაო მაგიდა. 3. დააფინეთ ზედაპირზე ბამბის ქსოვილი (მაგ. ბალიშის პირი) და გააუთოეთ ნაკეცების მოსაშორებლად. 4. ზემოდან დაადეთ ის ქსოვილი, რომელზეც აპირებთ სურათის გადაყვანას და გააუთოეთ.	
გადაყვანა:	1. დაადეთ გადასაყვანი სურათი ქსოვილს ისე, რომ სურათის მხარე ეხებოდეს ზედაპირს (ფურცლის უკანა მხარე თქვენ გიყურებდეთ). 2. დააწექით უთოთი მძიმედ, 2 ხელით, გაუსვით ზემოდან ქვემოთ (ვერტიკალურად) მთელ სურათზე 90 წამის განმავლობაში, შემდეგ გაიმეორეთ იგივე მარცხნიდან მარჯვნივ (ჰორიზონტალურად) 90 წამი. 3. ააძრეთ დამცავი ფირი სურათს გაუთოების დასრულებიდან დაახ. 2 წუთის შემდეგ.	1. დადეთ სურათი ქსოვილზე ისე, რომ ნახატი თქვენ გიყურებდეთ სწორი მიმართულებით 2. ბოლომდე დაფარეთ სურათი პერგამენტის ქაღალდით 3. დააწექით უთოთი მძიმედ, 2 ხელის მეშვეობით და გაუსვით ზემოდან ქვემოთ მთელი სურათის გასწვრივ 90 წამის განმავლობაში. შემდეგ გაიმეორეთ იგივე მარცხნიდან მარჯვნივ (ჰორიზონტალურად) 90 წამი (დიაგრამის მიხედვით). 4. დაელოდეთ სანამ თერმულად გადასაყვანი ფურცელი ბოლომდე გაცივდება და შემდეგ ააძრეთ პერგამენტის ქაღალდი.
		**გაითვალისწინეთ**: პატარა გადასაყვანი სურათებისთვის (A4-ზე ნახევარი ან ნაკლები) გაუთოების დრო მცირდება 45 წამამდე ვერტიკალური მიმართულებისთვის და 45 წამამდე - ჰორიზონტალური. თუკი გადასაყვანი სივრცის ფართობი უთოზე პატარაა, საჭიროა 30 წამი დიდი დაწოლით (იხ. ცხრილი)
რეცხვა:	გადმოაბრუნეთ ქსოვილი (ნაბეჭდი მხარე შიგნით რომ მოექცეს) და გარეცხეთ ცივ წყალში რბილი სარეცხი საშუალებით. არ გამოიყენოთ მათეთრებელი. საშრობ მანქანაში დაბალი სითბოს რეჟიმზე გააშრეთ. თუკი გადაწყვეტთ ნაბეჭდი ადგილის გაუთოვებას, დააფარეთ სურათს პერგამენტის (საცხობი) ქაღალდი.	

ფურცლის ზომები და გაუთოების დრო

მიახლოებითი ზომა	გაუთოების დრო თითო მიმართულებისთვის
22 x 28 სმ (A4)	90 წამი
14 x 20 სმ	45 წამი
10 x 28 სმ	30 წამი
28 x 43 სმ	90 წამი პირველ ნახევარზე, შემდეგ 90 წამი მეორე ნახევარზე. არ გაამოძრაოთ ფურცელი გადაყვანის პროცესში.

მნიშვნელოვანი: პრინტერები და თერმო პრესები განსხვავდებიან სიზუსტით. ეს პროდუქტები ტესტირებულია ბევრი სხვადასხვა პრინტერისა და თერმო პრესის გამოყენებით და მიღებულია შესანიშნავი შედეგები. მიუხედავად ამისა, რეკომენდაციას გიწევთ თავად დატესტოთ ფურცლები თქვენი აღჭურვილობის მეშვეობით საუკეთესო შედეგის მისაღებად.

MORE THAN 50%
MADE FROM RENEWABLE RESOURCES